ნთქამს თუ ნთქავს? ჩანთქამს თუ ჩანთქავს? ჩაუნთქამს თუ ჩაუნთქავს?

ამ ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებელ სუფიქსად **-ამ** აქვს: **ნთქამს, ჩანთქამს (შთანთქამს), ჩაუნთქამს (შთაუნთქამს)**. ეს კარგად ჩანს ამ ზმნისაგან ნაწარმოებ მასდარსა და მიმღეობაში: **ჩანთქმა (შთანთქმა), ჩანთქმული (შთანთქმული), ჩამნთქმელი (შთამნთქმელი)**. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში **-ამ** სუფიქსი ამ ზმნაში **-ავ** სუფიქსმა შეცვალა და **-ავ** სუფიქსიანი ფორმები გაბატონდა: **ნთქავს, ჩანთქავს (შთანთქავს), ჩაუნთქავს (შთაუნთქავს)**. **-ავ** სუფიქსიან ფორმათა გაბატონებისათვის ხელი უნდა შეეწყო იმას, რომ **-ამ** სუფიქსიანი ფორმები დიალექტურ ფორმებს მოგვაგონებს და ასეთადაც უნდა ყოფილიყო აღქმული (შდრ. სალიტერატურო **კლავს, მოკლავს** და **მოუკლავს** და დიალექტური **კლამს, მოკლამს** და **მოუკლამს; ხატავს, დახატავს** და **დაუხატავს** და **ხატამს, დახატამს** და **დაუხატამს**). **-ავ** სუფიქსიანი ფორმები იმდენად გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, რომ **-ამ** სუფიქსიანი ფორმები ხელოვნურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამის გამო **ნთქამს, ჩანთქამს (შთანთქამს), ნთქამდა, ნთქამდეს, ჩანთქამდა, ჩანთქამდეს, ჩაუნთქამს** ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს და ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად **ნთქავს, ჩანთქავს, ნთქავდა, ნთქავდეს, ჩანთქავს, ჩანთქავდეს, ჩაუნთქავს** უნდა იქნეს მიჩნეული.

მასდარსა და მიმღეობაში **მ**-იანი ფორმები დარჩება: **ჩანთქმა (შთანთქმა), ჩანთქმული (შთანთქმული), ჩამნთქმელი (შთამნთქმელი)**.